ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ლაბორატორიის სასკოლო-სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესი“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ქიმიური რეაქტივების შესყიდვა-სასაქონლო ზედნადებით-შპს ,,GT Group“ - • მიღება-ჩაბარების აქტით 1-01/03-16
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ნათელი საკლასო ოთახები, ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემები. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. შენობის ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები ბიჭების და გოგონებისთვის 6-6 განყოფილებით, რომლებიც მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სველი წერტილები მდებარეობს პირველ სართულზე. გიმნაზიას აქვს ალტერნატიული დენის წყარო-გენერატორი, აგრეთვე დენის ღუმელები გაზის არყოფნის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • ინვენტარიზაციის აღრიცხვის უწყისით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა გიმნაზიის საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. იგი განთავსებულია დიდ და ნათელ ოთახში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. თაროებზე წიგნები განთავსებულია თემატურად. შემუშავებულია ბიბლიოთეკის მუშაობის კონცეფცია და ბიბლიოთეკის დებულება. გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევისა და წიგნით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში დგას 2 კომპიუტერი და ქსეროქსის აპარატი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში (5288 წიგნი) მოქმედებს ანბანური კატალოგი და მკითხველის ბარათები. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული წიგნები, მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე პერიოდული გამოცემები: ,,ახალი განათლება“, ,,კარიბჭე“, ,,საქართველოს უწყებანი“ და სხვა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • ბიბლიოთეკის დებულებით • ბიბლიოთეკის მუშაობის კონცეფციით • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ პირისთვის. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები, სპორტული დარბაზის შესასვლელისა და სველი წერტილების ადაპტირების აუცილებლობაზე. წარმოდგენილი ფოტომასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადასტურებს რომ, სპორტული დარბაზის შესასვლელისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამზადდა პანდუსი, ხოლო სველ წერტილებში დამონტაჟდა საყრდენი მოაჯირები. გიმნაზიას შენობის პირველ სართულზე გამოყოფილი აქვს სსსმ მოსწავლისთვის რესურს-ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით. რესურს-ოთახში არის ერთი კომპიუტერი. ამ ეტაპზე დაწესებულებას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. გიმნაზიის შენობის მეორე სართულზე მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 17 კომპიუტერი და ერთი პროექტორი. გარდა ამისა, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობს ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, დაწყებითი სწავლების კათედრის სამუშაო კაბინეტი, კლასგარეშე მუშაობის საკლასო ოთახი, სამასწავლებლო. გიმნაზიას აქვს 4 ლეპტოპი, რომლებსაც პედაგოგები იყენებენ საჭიროების მიხედვით. სასწავლო პროცესის გარდა კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოიყენება სკოლის მართვაშიც. კომპიუტერები განთავსებულია კანცელარიაში, რექტორის კაბინეტში, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერისა და დაცვის ოთახებში. შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლით გიმნაზიის მფლობელობაშია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	39 კომპიუტერი -აქედან 4ლეპტოპია, 3 პროექტორი და 11 პრინტერი, მათ შორის 3 ფერადია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს გიმნაზიის ვებ-გვერდი https://mefetamari.ge/ ელ.ფოსტა mefetamari@yahoo.com ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, გიმნაზიის შინაგანაწესი და დებულება, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი და სტრატეგიული გეგმები, სტრუქტურა, სვოტანალიზი, ონლაინ სწავლების განყოფილება, სახელმძღვანელოები კლასების მიხედვით, გიმნაზიის მოსწავლეთა ფორმები კლასების მიხედვით, გიმნაზიის აქტივობები, სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა. მითითებულია გიმნაზიის საკონტაქტო რეკვიზიტები. საკომუნიკაციოდ ვებ-გვერდს აქვს განცხადებების ონლაინ რეგისტრაციის ბლოკი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდი: https://mefetamari.ge/. • ს.ს. სილქნეტთნ გაფორმებული ხელშეკრულება • ინვენტარიზაციის აღრიცხვის უწყისით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გიმნაზიას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი საგანგებო სიტუაციების დროს დაუყონებლივ რეაგირების ეფექტური მიმართულებები და ღონისძიებები, მათ შორის ერთ-ერთია ხანძარსაწინააღმდეგო მიმართულება. გიმნაზიაში რექტორის ბრძანებით (ბრ. 72/2;04 აგვისტო, 2021 წელი) შექმნილია საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შტაბის შეტყობინების გეგმა. აღნიშნულის გეგმიდან ჩანს , რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გიმნაზიაში ხანძარ საწინააღმდეგო მოქმედებებზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი ბრძანებით(ბრ. 72/2 4/08/21). სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გიმნაზიაში არის 10 ცეცხლმაქრი, რომლებიც განთავსებულია ორივე სართულს ფლიგელებში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება -10 ცალი ცეცხლმაქრის გადამუხტვასა და სარქველის შეცვლაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებით-შპს ,, სახანძრო ინვენტართან“ 2022 წელი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის შენობის ყველა ფლიგელში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, საევაკუაციო მანათობლებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებით-შპს ,, სახანძრო ინვენტართან“ 2022 წელი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემუშავებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით (ბრ. 72/2 4/08/21). ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: მაგიდა, საწოლი, სველი წერტილი, კარადა-პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, მიმართვისა და დაავადების აღრიცხვის ჟურნალი, მაცივარი. გიმნაზიას ემსახურება 2 ექიმი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაწერილია გიმნაზიის დებულებაში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ახალი კორონა(COVID-19) ვირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების გასატარებელი ღონისძიებები და წესები. შექმნილია საგანგებო კომისია და სამოქმედო გეგმა სწავლის დაწყების, სასწავლო პროცესის წარმართვის, გიმნაზიის დასუფთავებისა და სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების უზრუნველსაყოფად. დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისად, ხდება შენობაში ვიზიტორთა აღრიცხვა და ტემპერატურის შემოწმება, სანიტარული წერტილების დასუფთავება ჰიგიენური საშუალებებით. გიმნაზიას გააჩნია აუცილებელი და რეკომენდირებული ჰიგიენური საშუალებების მარაგი.
სმტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • გიმნაზიის დებულებით • რექტორის ბრძანებით №02/2 04/09/20 ახალი კორონა(COVID- ზოგადი რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის 2 თანამშრომელი და 3 დარაჯი, მათი ფუნქციები გაწერილია გიმნაზიის დებულებაში. შენობის შესასვლელში მოწყობილია დაცვის ოთახი, სადაც განთავსებულია ოთხი მონიტორი, რომლის საშუალებით შესაძლებელია შენობის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება. გიმნაზიას შემუშავებული აქვს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მიხედვით ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ რომელიც დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის N83/2-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	21/12-20 ბრძანებით. აღნიშნული წესის შესაბამისად გიმნაზიას არ ჰყავდა განსაზღვრული, მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი. ვიზიტის დროს, გიმნაზიის რექტორის N13/2 03/02/22 **(დანართი-2)** ბრძანებით, აღნიშნული მოვალეობა დაეკისრა იურიდიული და დაცვის სამსახურის უფროსს. გიმნაზიის რექტორის ბრძანებით (N12/2 03/02/22-**დანართი-3),** ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები" განისაზღვრა, შინაგანაწესის N2 დანართად. **გიმნაზიის რექტორის ბრძანებებში: N13/2 03/02/22 და N12/2 03/02/22 გამოყენებული ტერმინები ,,მოსწავლეთა კოლექტიური დათვალიერება და მოსწავლის პირადი ნივთების შემოწმება" არ შეესაბამება ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები"-ში გამოყენებულ შესაბამისი პროცედურის განხორციელების შესატყვის ტერმინს- ,,უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება". ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, გიმნაზიის რექტორის 2022წლის 23თებერვლის N19/2 ბრძანების საფუძველზე, გასწორდა აღნიშნული ჩანაწერი.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები" N83/2-21/12-20 ბრძანებით. • გიმნაზიის დებულებით • გიმნაზიის რექტორი ბრძანებებით: N13/2 03/02/22 და N12/2 03/02/22 • გიმნაზიის რექტორი **N19/2 ; 23/-2/22** ბრძანებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების შენობის ვიდეოდათვალიერება ხორციელდება დაცვის ოთახში განთავსებული 4 მონიტორის საშუალებით, სადაც თითოეულზე 16 კამერის ჩანაწერია განთავსებული. გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრი სულ 66 ვიდეოკამერის საშუალებით კონტროლდება. ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ს მე-4 თავი მთლიანად წარმოადგენს გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • კამერების შესყიდვის დოკუმენტაციით. • გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	გიმნაზიას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი და გიმნაზიის დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წესდებით განსაზღვრულია: დაწესებულების ორგანიზაციულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება, გიმნაზიის იურიდიული მისამართი და არსებობის ხანგრძლივობა, მიზანი და საქმიანობა, დამფუძნებელი, გიმნაზიის მართვა, ქონება და ცვლილებები წესდებაში. შინაგანაწესი აწესრიგებს გიმნაზიაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, აგრეთვე მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და დასაქმებულთა საქმიანობის წარმართვის წესებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო, სასწავლო პროცესის დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების პერიოდი, შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, დრო და ადგილი. ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის, წახალისებისა და ადმინისტრაციული/დისციპლინური გადაცდომების, ზომების გამოყენების, განცხადება-საჩივრის განხილვისა და სხვა წესები. აღსანიშნავია რომ, შინაგანაწესის მე-10 მუხლში გაწერილია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის სახეები და სახდელები, თუმცა ყველა სახდელი არ იყო ნათლად განმარტებული, დარღვეული იყო გამჭირვალობის პრინციპი, ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზი გასწორდა გიმნაზიის რექტორის ბრძანების საფუძველზე. აგრეთვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა, კლასის დაძლევის ბარიერთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალურ ბარიერს 6.0 ქულას. თუმცა გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად- ,,კლასისა და საფეხურის დაძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში, კონკრეტული საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5.0 და მეტი ქულა“ **(დანართი-4)** დაწესებულების დებულება ადგენს გიმნაზიაში საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელთა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობას, ვალდებულება-პასუხისმგებლობას. გიმნაზიას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები: პედსაბჭოსა და კათედრის დებულებები, საქმისწარმოების წესი, ინკლუზიური განათლების დებულება და ბიბლიოთეკის დებულება. აღნიშნული დებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელს უწყობს სასკოლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გიმნაზიის წესდებით, • შინაგანაწესით, • გიმნაზიის დებულებით • სტრუქტურული ერთეულების დებულებებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიამ წარმოადგინა განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2021-2027 წლებს. დოკუმენტი შემუშავებულია რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორი მიერ(ბრძანება №84/2; 21.12. 2020 წელი). ექვსწლიან გეგმით განსაზღვრულია ძირითადი სტრატეგიული მიზნები და დასახულია მიზნის მიღწევის ამოცანები. სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით. თითოეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირი, სავარაუდო პერიოდი და ღონისძიების აღმწერი. მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა გიმნაზიის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანია, რაც ნათლად ჩანს 6 წლიანი გეგმიდან. განახლებული სპორტული მოედანი, მატერილური-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია. გიმნაზიის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილ მოქმედებების გეგმას, რომელიც გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრაზეა ორიენტირებული. გეგმა ითვალისწინებს აქტივობების აღწერას, ახდენს ანგარიშგებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაციას და ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით; • სტრატეგიული მიზნებით; • SWOT ანალიზით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა ხორციელდება გიმნაზიის რექტორი მიერ დამტკიცებული ,,საქმისწარმოების წესის“(ბრძანება N 05/2, 14 სექტემბერი, 2020 წელი) შესაბამისად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია, გიმნაზიის განათლების ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახური. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია: შიდა, შემოსული, გასული დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების და დირექტორი ბრძანებების აღრიცხვის წესი, ელექტრონული აღრიცხვა, გიმნაზიის ბეჭდისა, კუთხოვანი შტამპის, ტიტულოვანი ფურცლის გამოყენება. საქმისწარმოებისთვის მოქმედებს შემდეგი ჟურნალები: შემოსული კორესპონდენციისა და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები, საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები გაფორმებულია საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, ზონარგაყრილია, დანომრილია გვერდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესით • საქმისწარმოების ჟურნალებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	1. გიმნაზიამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზის შესასვლელის ადაპტირება ეტლით მოსარგებლე პირისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. ადაპტირებული სველ წერტილი აღიჭურვოს საყრდენი მოაჯირით. 3. გიმნაზიის რექტორის ბრძანებებში გამოყენებული ტერმინები ,,მოსწავლეთა კოლექტიური დათვალიერება და მოსწავლის პირადი ნივთების შემოწმება“ შესაბამისობაში მოვიდეს ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ში გამოყენებულ შესაბამისი პროცედურის განხორციელების შესატყვის ტერმინთან- ,,უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება“.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი	გიმნაზიას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში 74 თანამშრომელია, მათ შორის 44 მასწავლებელი. ადმინისტრაციულ სტრუქტურის წარმომადგენლებია გიმნაზიის რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწე, სამეურნეო მენეჯერი-შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, იურდიული და დაცვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი და კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი. ადმინისტრაციის 10 თანამშრომლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა 4 მასწავლებელი. დამხმარე და ტექნიკური პერსონალს წარმოადგენენ: ექიმი-2, ბიბლიოთეკარი-1, დაცვის თანამშრომელი--2, დარაჯი-3, დამლაგებელი-4, მეზოვე-1, მებაღე-1, მძღოლი-3, საწყობის გამგე-1. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით • შრომითი ხელშეკრულებებით; • საათობრივი ბადე, მასწავლებელთა დატვირთვით; • გიმნაზიის დებულებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	44
მოწვეული/მაძიებელი	0/1
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	36
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების პედაგოგები შერჩეულნი არიან ,, ზოგადი განათლების შეახებ“ კანონის შესაბამისად. ყველა პედაგოგს უდასტურდება კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლის. გიმნაზიის 44 პედაგოგიდან 6 მასწავლებელს არა აქვს სტატუსი. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად (მუხლი-21, პუნქტი- 1-2) გიმნაზიის პედაგოგებმა წარმოადგინეს ცნობა ნასამართლეობის შესახებ- (23.02. 22). აგრეთვე, აღნიშნული კანონის 33-1 მუხლი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პირადი საქმეებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და განთავისუფლება რეგულირდება გიმნაზიის შინაგანაწესით და დებულებით. კვალიფიციური მასწავლებლების შერჩევა ხდება კონკურსით. კონკურსის წესები და პირობები განსაზღვრულია ,,გიმნაზიაში შესაძლო ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების და ჩატარების წესი“-ს შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, კონკურსის შესახებ განაცხადი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე pedagogi.ge და www.hr.gov.ge ასევე, გიმნაზიის ვებგვერდზე https://mefetamari.ge/-ზე. განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგების გამოცხადება, საპრეტენზიო კომისიის შექმნისა და მუშაობის წესები. გიმნაზიაში სამუშაოზე მიღებულ თანამშრომელთან იდება შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება და გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური-სამართლებლივი აქტი (ბრძანება). შინაგანაწესის თანახმად, გიმნაზიაში სამუშაოზე მისაღებად, რეგისტრაციაზე გავლისა და გასაუბრების შემდეგ, მუშაკი ვალდებულია წარმოადგინოს: • პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა ან პასპორტი)ასლი; • cv - რეზიუმე; • ავტობიოგრაფია; • განათლების დამადასტურებელი (დიპლომის) დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; • 1 ფოტოსურათი და დისკზე ჩაწერილი; • პროფესიული კვალიფიკაციის (სტატუსის)დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; • მიღებული სერთიფიკატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; • მოძღვრის რეკომენდაცია თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები გაწერილია როგორც შინაგანაწესში ასევე, შრომით ხელშეკრულებაში. გიმნაზიაში მოქმედებს წახალისებისა და სანქციების სისტემა. კეთილსინდისიერად, სანიმუშოდ და პასუხისმგებლობით სამუშაოს შესრულებისთვის გამოიყენება წახალისების ფორმები: ა)რექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით ბ)დანამატის/პრემიის გაცემა გ)ფასიანი საჩუქრი დ)დიპლომის ან/და სიგელით დაჯილდოვება ე)მეცამეტე ხელფასი თანამშრომელთა წახალისების გადაწყვეტილებას იღებს გიმნაზიის რექტორი, აღმასრულებელი დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არა კეთილსინდისიერად შესრულების, შრომის დისციპლინის, ეთიკის ნორმების დარღვევისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომისათვის რექტორი ღებულობს ადმინისტრაციულ ზომებს. კერძოდ: ა)გაფრთხილება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით; ბ)საყვედური; გ)სასტიკი საყვედური; დ)ხელფასის დაქვითვა, არაუმეტეს დარიცხული ხელფასის 10%-ის; ე)სამსახურიდან განთავისუფლება. ადმინისტრაციული სახდელის დადებამდე, დისციპლინის დამრღვევ პირს მოეთხოვება ახსნა-განმარტება დარღვევის ფაქტზე;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გიმნაზიის შინაგანაწესი და დებულება • ,,გიმნაზიაში შესაძლო ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების და ჩატარების წესი“ • გიმნაზიის რექტორი ბრძანება 12/2; 03/02/22, შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. თუმცა მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174// ბრძანების მე-10 მუხლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების კატეგორიები და შესაბამისი ვალდებულებები. ვიზიტის დროს დაწესებულებამ, გაითვალისწინა შენიშვნა და წარმოადგინა უფროსი, წამყვანი და მაძიებელი მასწავლებლების ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის შემუშავებულია, მასწავლებლის პროფესიული განვითარების მექანიზმები, რაც გულისხმობს, საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელებისგან სამუშაო ჯგუფის შექმნას. ჯგუფი პერიოდულად ესწრება საგაკვეთილო პროცესს, აკვირდება კლასს და მასწავლებლის მუშაობას, გამოყოფს მასწავლებლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებელთა მხარდაჭერისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს, პედსაბჭოზე ხდება სასწავლო წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელთა დასახელება და რექტორის გადაწყვეტილებით, ფინანსური წახალისება-პრემიის სახით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ 5 პედაგოგს გიმნაზიის რექტორი უფინანსებს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ღირებულების 50%-ს. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად ირკვევა, რომ პედაგოგები ესწრებიან როგორც მასწავლებელთა პროფესიული სახლის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებს, ასევე მათი საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პირადი საქმეებით • ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრ.N 87/2, 25/12/20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ გიმნაზიაში არსებობს კეთილგანწყობის და თანამშრომლობითი გარემო. დაწესებულების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოებაში დაცულობას და პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის. მოსწავლეებმა ისაუბრეს განხორციელებულ ღონისძიებებზე, რაც ხელს უწყობს მათი ინტერესების გამოვლენასა და მეგობრული, თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ გიმნაზიაში არსებული შემოქმედებითი წრეები. გიმნაზიის ვებ-გვერდი და ფოიეში მოწყობილი ღონისძიებების კუთხე ნათელი დადასტურებაა, დაწესებულებაში მიმდინარე მრავალფეროვანი სასკოლო ცხოვრებისა. შემოქმედებითი ღონისძიებების გარდა მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საგნობრივ ოლიმპიადებში და კონფერენციებში. გიმნაზიაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა, ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენას. ამის ნათელი დადასტურებაა, გიმნაზიის სამხატვრო ოთახ-სახელოსნო, თავისი ინფრასტრუქტურითა და ესთეტიური გარემოთი. გიმნაზიაში ყველა სტრუქტურულ ერთეულს აქვს კეთილმოწყობილი სამუშაო კაბინეტები, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით განსაზღვრულია შესაბამისი თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ისაუბრა გიმნაზიაში არსებულ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობითი გარემოს არსებობაზე. მან აღნიშნა, რომ გიმნაზიაში მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად სწავლობენ ქართველი მუსლიმანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეები. ისინი მონაწილეობენ გიმნაზიის მიერ განხორციელებულ აქტივობებში. გიმნაზია სურვილის შემთხვევაში, ყოველ პარასკევს, უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტით ჯუმა-მეჩეთში გადაადგილებას. სკოლაში ყოველწლიურად მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას. გიმნაზიაში შემუშავებულია მიმდინარე პრევენციული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გიმნაზიაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა, ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობითი გარემო
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრებით მოსწავლეებთან და პედაგოგებთან • გიმნაზიის ვებ-გვერდით • ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	.
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული
დოკუმენტაცია დასკვნა - 44
გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დანართი-1(შეფასება არჩევით საგნებში)-5 გვერდი
დანართი-2 (უფლებამოსილიპირისდანიშვნა)1გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დანართი-3 (შინაგანაწესში ცვლილების შეტანა)-2
გვერდი
სულ გვერდების რაოდენობა -52 გვერდი

ქ. თბილისი. 07.03.2022.

(შევსების ადგილი)
თარიღი

52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.